

**პერსონალურ მონაცემთა შეგროვებისა და დამუშავების პოლიტიკა**

**1. პოლიტიკის მიზანი:**

1.1 წინამდებარე დოკუმენტი განსაზღვრავს იმ წესებსა და პირობებს, რომლის საფუძველზეც, კომპანია მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევის მიზნით, შეაგროვებს და დამუშავებს მომხმარებელთა პერსონალურ მონაცემებს. მონაცემთა დამუშავება ეფუძნება თქვენი/თქვენი ოჯახის წევრის შემდგომში - „მომხმარებელი“ დამსაქმებელ ორგანიზაციასა და შპს „ფიტპასს ჯორჯიას“ (ს/კ: 406271895), შემდგომში - „კომპანია“, შორის გაფორმებული კორპორატიული მომსახურების ხელშეკრულებას და თქვენს მიერ რეგისტრაციის დასრულების შემდეგ, მობილურ აპლიკაციაში გამოხატულ თანხმობას კომპანიის მიერ შემოთავაზებულ წესებისა და პირობების სრულ პაკეტზე. თქვენთვის მომსახურების გაწევის მიზნით, კომპანია თქვენს პერსონალურ მონაცემებს დამუშავებს ამ დოკუმენტში მოცემული პირობების შესაბამისად.

**2. პერსონალურ მონაცემთა დამუშავების საფუძველი და მიზნები:**

2.1 კომპანია აგროვებს და დამუშავებს მომხმარებლის პერსონალურ მონაცემებს მომსახურების გაწევის, გაწეული მომსახურების მონიტორინგისა და მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების, სტატისტიკის წარმოების და ნებისმიერი სხვა იმ მიზნისთვის, რაც არ სცდება კომპანიის მიერ მომხმარებლისთვის სრულფასოვანი მომსახურების გაწევის მიზანს. კომპანია ვალდებულია იღებს, რომ არ გამოიყენებს პერსონალურ მონაცემებს ნებისმიერი სხვა მიზნისთვის, არ გადასცემს მას ნებისმიერ სხვა პირს თუ ეს არ არის განპირობებული კანონმდებლობის მოთხოვნით და სხვაგვარად არ დაარღვევს პერსონალურ მონაცემთა დამუშავების წესებს.

2.2 კომპანია უფლებამოსილია მომსახურების გაწევის პროცესში მოპოვებული პერსონალური მონაცემები დაამუშავოს იმგვარი სტატისტიკის წარმოების მიზნებისთვის, რომელიც ემსახურება მომსახურების გაუმჯობესების, ბიზნესის განვითარებისა და ბიზნეს სტრატეგიის ანალიზს.

**3. მონაცემთა მოპოვება:**

3.1 კომპანია უფლებას იტოვებს შეაგროვოს და დაამუშავოს შემდეგი მონაცემები, სადაც სავალდებულო მონაცემები საჭიროა მომსახურებით სარგებლობისთვის, ხოლო ნებაყოფლობითი მონაცემის მიწოდება მომხმარებელი ახორციელებს საკუთარი ნების საფუძველზე:

**სავალდებულო მონაცემები:**

- მომხმარებლის სახელი და გვარი;
- მომხმარებლის პირადი ნომერი;
- მომხმარებლის ელექტრონული ფოსტის მისამართი;
- მომხმარებლის საკონტაქტო ტელეფონის ნომერი;
- მომხმარებლის კომპანიის პარტნიორ სუბიექტში ვიზიტის შესახებ ინფორმაცია;
- მომხმარებლის მთავარი მოწყობილობის გეოლოკაცია QR კოდის დასკანერების მომენტში;
- მომხმარებლის უნიკალური კოდი;
- მომხმარებლის წევრობის ისტორია.
- საბანკო ბარათის მონაცემი <https://myfitpass.ge/>-ით სარგებლობის შემთხვევაში

**ნებაყოფლობითი მონაცემები:**

- მომხმარებლის ფოტო აპლიკაციაში;
- მომხმარებლის მთავარი მოწყობილობის გეოლოკაცია ახლომდებარე ობიექტების გვერდის გენერირებისთვის;
- სხვა მონაცემი, გარდა სავალდებულო მონაცემებისა, რომელიც შესაძლოა მომხმარებელმა წარადგინოს ანგარიშის შექმნის, მისი ცვლილების ან/და მომსახურებით სარგებლობის დროს.

3.2 კომპანია, მომხმარებლის წინასწარი თანხმობითა და მაქსიმალური უსაფრთხოების გარანტიით, იყენებს მთავარი მოწყობილობის გეოლოკაციის მონაცემს მხოლოდ მას შემდეგ რაც

## შპს „ფიტპასს ჯორჯია“ (ს/კ: 406271895)

მომხმარებელი აპლიკაციიდან განაცხადებს თანხმობას ლოკაციის, მიმდინარე (სესიის (Allow Once) ან აპლიკაციის გამოყენების განმავლობაში (Allow While Using App), გამოყენებაზე შემდეგი კონკრეტული მიზნებისთვის:

- პარტნიორ სუბიექტთან აპლიკაციის საშუალებით QR კოდის დასკანირებისას მომხმარებლის იდენტიფიცირების მიზნისთვის, რათა დაცული იქნეს ერთი ანგარიშის მხოლოდ ერთი მომხმარებლის მიერ გამოყენების პირობა;
- მომხმარებლის მიერ კომპანიის პარტნიორ სუბიექტში ვიზიტის შესახებ ინფორმაციის გენერირება;
- ახლომდებარე ობიექტების გვერდის გენერირება აპლიკაციაში.

### 4. მონაცემთა მესამე პირზე გადაცემა:

4.1 კომპანია მომხმარებლის მონაცემებს გაუმჟღავნებს მის პარტნიორ სუბიექტებს მხოლოდ იმ მიზნით, რათა მოხდეს მომხმარებლის იდენტიფიცირება. კომპანია აგრეთვე უფლებას იტოვებს მომხმარებლის მონაცემები ინფორმაცია გაუმჟღავნოს ნებისმიერ სხვა მესამე პირს, თუ ეს საჭიროა კომპანიის მიერ აღებული ვალდებულებების შესასრულებლად და მომხმარებლისათვის სრულფასოვანი მომსახურების გასაწევად.

### 5. მონაცემთა შენახვის ვადა:

5.1 ამ პოლიტიკაში მოცემული პერსონალურ მონაცემთა წაშლა განხორციელდება შემდეგი წესების მიხედვით:

5.1.1. მომხმარებლის 1 წლიანი უმოქმედობის შემთხვევაში (იგულისხმება მომხმარებლის ანგარიშის/პროფილის „არააქტიური სტატუსის“ ქვეშ ყოფნა) განხორციელდება მომხმარებლის ავტომატური წაშლა. აღნიშნული 1 წლიანი პერიოდის განმავლობაში მომხმარებელს ენიჭება „არააქტიური სტატუსი“, ამ პერიოდის განმავლობაშიც მომხმარებელს წესებსა და პირობებში არსებული ჩანაწერების შესაბამისად აქვს შესაძლებლობა „აქტიური სტატუსის“ ქვეშ გააგრძელოს კომპანიის მომსახურებით სარგებლობა.

5.1.2. მომხმარებელს უფლება აქვს მოითხოვოს მონაცემთა დამუშავების შეწყვეტა, წაშლა ან განადგურება, რაც ამავდროულად გულისხმობს უარს მომსახურების მიღების გაგრძელებაზე.

5.2 მომხმარებლის მიერ, მის შესახებ არსებული მონაცემთა დამუშავების წინამდებარე დოკუმენტის 5.1.2 პუნქტის შესაბამისად წაშლის მოთხოვნის დაფიქსირების შემთხვევაში აღნიშნული მონაცემები წაიშლება მოთხოვნიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღეში თუ არ არსებობს მოთხოვნაზე უარის თქმის საფუძველი. აღნიშნული მოქმედება გულისხმობს, მომხმარებლის მიერ კომპანიის მომსახურებაზე უარის თქმას.

5.2.1 მომხმარებელმა საკუთარი ანგარიშის წაშლა შეიძლება განხორციელოს აპლიკაციის გამოყენებით;

5.2.2 კომპანიის მომსახურების ცენტრის ქვემოთ მითითებულ ელ.ფოსტაზე მიწერით.

5.3 კომპანია უფლებას იტოვებს, მომხმარებლისთვის მომსახურების გაწევის შეწყვეტის/მიწოდებაზე უარის თქმის შესახებ ინფორმაცია გაუმჟღავნოს შესაბამის დამსაქმებელს (ორგანიზაციას) რომელთანაც გაფორმებული არის კორპორატიული მომსახურების ხელშეკრულება.

5.4 მომხმარებლის პერსონალური მონაცემების წაშლა/განადგურება გულისხმობს მომხმარებლის პერსონალური მონაცემების წაშლას/განადგურებას მათ შორის 6.1. პუნქტით გათვალისწინებულ უცხო ქვეყანაში მდებარე ბაზაზე.

### 6 მონაცემთა საერთაშორისო გადაცემა:

6.1 მომხმარებლების პერსონალურ მონაცემთა შენახვა განხორციელდება პერსონალურ მონაცემთა

დაცვის სათანადო გარანტიების მქონე ქვეყნების ნუსხაში შემავალ ქვეყანაში - არსებულ ბაზაზე.<sup>1</sup>

## 7 მომხმარებლის უფლებები:

7.1 პერსონალურ მონაცემთა დაცვის კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების კონტექსტში, კომპანია განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს შემდეგ უფლებებზე:

- მონაცემთა დამუშავების შესახებ ინფორმაციის მიღების უფლება
- მონაცემთა გაცნობისა და ასლის მიღების უფლება
- მონაცემთა გასწორების, განახლებისა და შევსების უფლება
- მონაცემთა დამუშავების შეწყვეტის, წაშლის ან განადგურების უფლება
- გასაჩივრების უფლება

### 7.2 მონაცემთა დამუშავების შესახებ ინფორმაციის მიღების უფლება

მომხმარებლის მიერ მოთხოვნის შემთხვევაში, კომპანია უსასყიდლოდ მიაწვდის მას ინფორმაციას, იმის თაობაზე, მუშავდება თუ არა მის შესახებ მონაცემები და რა საფუძვლით და მიზნით, ასევე, რომელი მონაცემები მუშავდება, აგრეთვე ინფორმაციას პერსონალურ მონაცემთა შეგროვების წყაროს, შენახვის ვადის ან ვადის განსაზღვრის კრიტერიუმების, პერსონალურ მონაცემთა მესამე პირებზე გაცემისა და შესაბამისი მიზნებისა და საფუძვლების შესახებ ასევე საჭიროების შემთხვევაში ნებისმიერ სხვა ინფორმაციას, როდესაც ასეთი ინფორმაციის გაცემა კანონს არ ეწინააღმდეგება.

### 7.3 მონაცემთა გაცნობისა და ასლის მიღების უფლება

მომხმარებელს უფლება აქვს, გაეცნოს მის შესახებ არსებულ პერსონალურ მონაცემებს და მიიღოს ამ მონაცემების ასლები უსასყიდლოდ იმ ფორმით, რომლითაც დაცულია ისინი კომპანიასთან.

ამასთანავე, მომხმარებელს უფლება აქვს, მოითხოვოს მის შესახებ მონაცემთა ასლების მიწოდება განსხვავებული ფორმით, კომპანიის მიერ დადგენილი გონივრული საფასურის სანაცვლოდ და იმ შემთხვევაში, თუ ეს ტექნიკურად შესაძლებელია.

### 7.4 მონაცემთა გასწორების, განახლებისა და შევსების უფლება

მომხმარებელს უფლება აქვს მოითხოვოს მის შესახებ არსებული მცდარი, არაზუსტი ან/და არასრული მონაცემების გასწორება, განახლება ან/და შევსება.

### 7.5 მონაცემთა დამუშავების შეწყვეტის, წაშლის ან განადგურების უფლება:

მომხმარებელს უფლება აქვს მოითხოვოს მის შესახებ არსებული მონაცემების დამუშავების შეწყვეტა, წაშლა ან განადგურება წინამდებარე დოკუმენტის მე-5 მუხლში განსაზღვრული წესების მიხედვით. აღნიშნული მოთხოვნის დაყენება გულისხმობს კომპანიის მომსახურებაზე უარის თქმას.

### 7.6 გასაჩივრების უფლება:

მომხმარებელს უფლება აქვს, პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ კანონით გათვალისწინებული უფლებების დარღვევის შემთხვევაში, კანონით დადგენილი წესით მიმართოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურს, სასამართლოს ან/და ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოს.

### 7.7 უფლებების შეზღუდვა:

ზემოთ აღნიშნული უფლებების შეზღუდვა შესაძლებელია მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

---

<sup>1</sup>სათანადო გარანტიების მქონე ქვეყნების ნუსხა დამტკიცებული არის სახელმწიფო აუდიტის სამსახურის გენერალური აუდიტორის 2026 წლის 14 აპრილის ბრძანება №007 ბრძანებით.

**8 უსაფრთხოების ზომები:**

8.1 კომპანია იღებს სათანადო ტექნიკურ და ორგანიზაციულ ზომებს მომხმარებლების პერსონალური მონაცემების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად და მათი დაკარგვის, უნებართვო წვდომის, შეცვლის ან გამჟღავნების თავიდან ასაცილებლად.

**9 სხვა პირების მომსახურება**

9.1 გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ მომსახურების გაწევისთვის ვიყენებთ შემდეგი კომპანიების სერვისებს:

- Wifisher

გამოიყენება მომხმარებლების ტელეფონის ნომრებზე SMS-ის სახით სიახლეებისა და ინფორმაციის გასაგზავნად. თქვენ შეიძლება გაეცნოთ მათ პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ პოლიტიკას შემდეგ მისამართზე: <https://www.wifisher.com/privacy-policy>

- Brevo

გამოიყენება მომხმარებლების ელ. ფოსტაზე ახალი ამბებისა და ინფორმაციის გასაგზავნად. თქვენ შეიძლება გაეცნოთ მათ პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ პოლიტიკას შემდეგ მისამართზე: <https://www.brevo.com/gdpr/>

- Facebook pixel

ვებსაიტის კოდი, რომელიც გამოიყენება სარეკლამო კამპანიებისთვის აუდიტორიის გაზომვის, ოპტიმიზაციისა და შექმნისთვის. თქვენ შეიძლება გაეცნოთ მათ პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ პოლიტიკას შემდეგ მისამართზე: <https://www.facebook.com/privacy/policy/>

- Strive cloud

გამოიყენება Gamification-ის პროგრამული უზრუნველყოფისთვის, რომლის მიზნებისთვის მუშავდება სპორტული დარბაზის დასახელება; შესვლის დრო; შესვლის თარიღი; წევრის სახელი; გამოწერა (subscription). თქვენ შეიძლება გაეცნოთ მათ პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ პოლიტიკას შემდეგ მისამართზე:

**10 საკონტაქტო ინფორმაცია პერსონალურ მონაცემთა საკითხთან დაკავშირებით:**

10.1 გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ იმ შემთხვევაში თუ გჭირდებათ რაიმე საკითხის გარკვევა აღნიშნული პოლიტიკის დოკუმენტთან დაკავშირებით ან/და თქვენი პერსონალური მონაცემის/ების წაშლა/შესწორება დაგვიკავშირდით მოცემულ საკონტაქტო მონაცემებზე: შპს ფიტპასს ჯორჯია; მის: უნივერსიტეტის ქუჩა #2, თბილისი; ელექტორნული ფოსტის მისამართი: [privacy@fitpass.ge](mailto:privacy@fitpass.ge). აღნიშნულ შემთხვევაში ჩვენ დაგიკავშირდებით/შევასრულებთ თქვენს მოთხოვნას წერილის მიღებიდან 10 კალენდარული დღის განმავლობაში ამ პოლიტიკის და წესების და პირობების შესაბამისად.